გადამხდელის დასახელება: ერთობ. საქმ. ამხანაგობა ქვიშხეთის 1ბ

ანგარიში (დებეტი) GE27BG0000000585677400
(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: ერთობ. საქმ. ამხანაგობა ქვიშხეთის 1ბ

საიდენტ. კოდი 200282513

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი
TRESGE22

გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი # 001046 სამშენებლო სამართალდარღვევის შესახებ

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები: ხელმძღვანელი ზ. [illegible] ძე

მთ. ბუღალტერი

ბ.ა.

თანხა

3000-00

თანხა სიტყვებით

სამი ათასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

წარდგენის თარიღი: 30.11.2017

მიღების თარიღი: 30.11.2017

თუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება განხორციელდება შემდეგი სამუშაო დღეს

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-1/0384-16

"29" 03 2016წ.

დადგენილება №001046
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

29.03.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაფარიძემ განვიხილე 2016 წლის 21 იანვრის №001046 მითითება და 2016 წლის 17 თებერვლის №001046 შემოწმების აქტი, შედგენილი მოქ. შორენა კიკვაძის (პირადი №01001002359, მის: ქ. თბილისი, იალორის ქ. №20, ბ.№4) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ქვიშხეთის ქ. №1ბ, საკ. კოდი №01.12.08.006.011-ში მოქ. შორენა კიკვაძის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1802387 AR1277512 25.03.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: გეგმები: -3.0 „ა-ა" ღერძზე 2-3 მონაკვეთში გაზრდილია კიბის უჯრედის სიგანე. „ც-ც" ღერძზე 1-3 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ღიობები. „ბ-ბ" ღერძზე 2-3 მონაკვეთში დამატებულია სვეტები. გეგმები: ±0.0 „ბ-ბ" ღერძზე 2-3 მონაკვეთში დამატებულია სვეტები. „ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია მოხოლითური სართულშუა გადახურვის ფორმა.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2016 წლის 21 იანვარს შედგენილ იქნა მითითება №001046, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2016 წლის 17 თებერვალს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001046, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა, კერძოდ, გამოსწორებულია მხოლოდ დარღვევა: „ც-ც" ღერძზე 1-3 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ღიობები.

2016 წლის 21 მარტს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ [illegible] წესით

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 301, 2 378 396

ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა მოქ. შორენა კიკვაძე (პირადი №01001002359), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მანვე აღნიშნა, რომ ობიექტზე მითითებაში აღნიშნული დარღვევების გამოსწორება ვერ ხერხდება. აღნიშნული სამუშაოების განხორციელებამ, მხოლოდ გააძლიერა შენობა. მისივე თქმით, პროექტი საჭიროებს კორექტირებას და მითითებაში აღნიშნული დარღვევების დატანას ნახაზში. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, მოქ. შორენა კიკვაძის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ქვიშხეთის ქ. №1ბ, საკ. კოდი №01.12.08.006.011-ში მოქ. შორენა კიკვაძის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1802387 AR1277512 25.03.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. მოქ. შორენა კიკვაძე დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. მოქ. შორენა კიკვაძეს დაევალოს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, **გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, მოქ. შორენა კიკვაძეს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ [illegible] კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმ[illegible]"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვ[illegible] [illegible]რებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამ[illegible]ნობაზე

სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ქ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე

შ. ჯაყელი

ქ. თბილისის მერია TBILISI CITY HALL 204521794

საგადასახადო დავალება
Payment Order

1

GEL

ს.ს. „თიბისი ბანკი"

თარიღი / Date: 28/04/2016

გადამხდელი / sender

ეს ამბანაგოა ქვიშხეთი 18, 200282513

რეფერენსი / Ref. Num.

1349574929

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account

GE33TB7642536050100001

თანხა / Amount

3,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name

ეს ამბანაგოა ქვიშხეთი 18, 200282513

თანხა სიტყვიერად
Amount in words

სამი ათასი ლარი 00 თეთრი

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code

200282513

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

გადარიცხვის საკომისიო
Transfer Fee

1.8 GEL

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code

300773263

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date

28/04/2016

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

დადგენილი ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა

Signature

შტამპის ადგილი

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

28/04/2016 4:38:50 PM

1349574929

თანხა ბოლომდეა

ნაღდი ფულის შემოსავლის ორდერი

CASH DEPOSIT ORDER

# 1349574270	GEL

თიბისი ბანკი
TBC BANK

თარიღი 28/04/2016 Date

შემომტანი Depositor	შორენა კიკვაძე,01001002359
მიმღები ბანკი, კოდი Bank name, code	სს "თიბისი ბანკის" საწზონის ს/ც #1, TBCBGE 22
მიმღები Receiver	ეს ამხანაგობა ქვიშხეთი 18
თანხა სიტყვიერად,ვალუტა Amount in words,currency	სამი ათასი ლარი 00 თეთრი
შემოტანის დანიშნულება Description	გადასარიცხად

ასლი

Copy

დებეტი Debit	1003
კრედიტი Credit	GE33 TB76 4253 6050 1000 01
თანხა ციფრებით Amount in figures	3,000.00 GEL

28/04/2016 4:37:43 PM

თიბისი ბანკი TBC BANK კოდი CODE TBCBGE22 176

მოლარე
Cashier

ბ.ა.

თამარი ხოჯერია

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

5/124-01
28.06.2016 16:10:38

ც ნ ო ბ ა

სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის“ N 19 ს/ც გლდანი მოლში ადასტურებს, რომ ე/ს ამხანაგობა ქვიშხეთი 1ბ -ის თავმჯდომარემ შორენა კიკვაძემ პ/ნ (01001002359) 2016 წლის 28 აპრილს ამხანაგობის ანგარიშიდან GE33TB7642536050100001 განახორციელა 1 ცალი გადარიცხვა ხაზინის ერთიან ანგარიშზე - სახაზინო კოდით 300773263 , დანიშნულება: „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო ,,, დამატებითი ინფორმაცია: „დადგენილი ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე „ თანხა 3000 (სამი ათასი) ლარი.

მოხდა მექანიკური შეცდმა, დამატებით ინფორმაციაში მითითებულია „ დადგენილი ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“, თუმცა უნდა ყოფილიყო მითითებული: „დადგენილი ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, დადგენილება N 001046 „.

აქედან გამომდინარე, გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული ფაქტი და 3000 ლარი ე/ს ამხანაგობა ქვიშხეთი 1ბ-ს (სახაზინო კოდი: 300773263) ჩაუთვალოთ გადახდილად

პატივისცემით,
თამთა ჯაბაური



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

83112582727915

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის ხელშეკრულება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N151210632

რეგისტრაციის თარიღი

03.11.2015 წ

ნოტარიუსი: ოთარ გოლოძე
მისამართი: თბილისი, გლდანი „ა“ მ/რ, 52-ე კორპუსის მიმდებარედ, მე-2 სართული #8
ტელეფონი: 577 111 881

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას თხუთმეტი წლის სამ ნოემბერს, მე, ნოტარიუს ოთარ გოლოძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, გლდანი, „ა“ მ/რ, 52-ე კორპუსის მიმდებარედ, მე-2 სართული, №8, მომმართეს **შორენა კიკვაძემ, ლია ზარნაძის** და **სევარიონი არაბიძის** წარმომადგენელმა **სოსო არაბიძემ, ნინო ღვედაშვილმა, ვაჟა ჩალაურმა, დავით დავითაშვილმა** და **გიორგი დავითაშვილმა,** რომლებმაც მოითხოვეს **ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის ხელშეკრულების** შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **შორენა კიკვაძემ** (დაბ: 04.12.1967წ. მის: თბილისი ილორის ქ. N 20 ბ. 4, პ/ნ **01001002359**), **სოსო არაბიძემ** (დაბ: 25.09.1959წ. მის: თერჯოლა ს. რუფოთი 30–ე ქ. N 1, პ/ნ **21001000670**) **ნინო ღვედაშვილმა** (დაბ: 18.09.1980წ. მის: თბილისი შ.დადიანის ქ. N 18, პ/ნ **01015008934**), **ვაჟა ჩალაურმა** (დაბ: 18.04.1989წ. მის: თბილისი ილორის ქ. N 20 ბ. 4, პ/ნ **01001057753**), **დავით დავითაშვილმა** (დაბ: 29.09.1978წ. მის: თბილისი ვერცხლის ქ. N 38, პ/ნ **01019001966**) და **გიორგი დავითაშვილმა** (დაბ: 07.07.1971წ. მის: თბილისი ვარდისუბნის ქ. N 6ა, პ/ნ **01023005469**) მომმართეს.

სოსო არაბიძის, როგორც **ლია ზარნაძის** (დაბ: 01.10.1960წ. მის: ქუთაისი ნიკეას ქ. N 40ბ ბ. 13, პ/ნ **21001000671**) და **სევარიონი არაბიძის** (დაბ: 11.01.1989წ. მის: თერჯოლა ს. რუფოთი 30–ე ქ. N 3, პ/ნ **21001028400**) წარმომადგენლის უფლებამოსილება დასტურდება 2015 წლის 02 ნოემბრის № 151203301 და №151203240 მინდობილობებით (ნოტარიუსი მ. ღადანიძე).

მე აგრეთვე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ მათ წავუკითხე წინამდებარე ხელშეკრულება და განვუმარტე მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები. მათ წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულება და განაცხადეს, რომ იგი სრულად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი (ნოტარიუსის) თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი მას.

წინამდებარე აქტი შედგენილია ათ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ო. გოლოძის სანოტარო არქივში, დანარჩენი გადაეცათ ამხანაგობის წევრებს.

ხელშეკრულების იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი:

1) ამონაწერები საჯარო რეესტრიდან **882015616081 - 28.10.2015, 882015625200 - 02.11.2015**
2) ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის წევრთა საერთო კრების ოქმი. №151210630, 03.11.2015წ. (ნოტ. ო. გოლოძე).
3) 2015 წლის 02 ნოემბრის № 151203301 და №151203240 მინდობილობები.

სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის გამოთვლის მიზნისათვის წინამდებარე ხელშეკრულება მხარეთა მიერ შეფასებულია 424 427.89 (ოთხასოცდაოთხი ათას ოთხასოცდაშვიდი ლარი და 89 თეთრი) ლარად და შესაბამისად გადახდილია საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 23-ე მუხლის თანახმად 1011.35 ლარი, 2 ლარი თანახმად 39-ე მუხლისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად დღგ - 182.04 ლარი.

ნოტარიუსი ოთარ გოლოძე

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის

ხელშეკრულება

03.11.2015

მუხლი 1. ამხანაგობის სახელწოდება, მისამართი და დამფუძნებელი წევრები

1.1. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის სახელწოდებაა - **ქვიშხეთის 1ბ.**

1.2. ამხანაგობის მისამართია: **ქალაქი თბილისი, ქუჩა ქვიშხეთი, №1ბ.**

1.2 ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები არიან:

- **შორენა კიკვაძე – პ/ნ 01001002359**
- **ლია ზარნაძე – პ/ნ 21001000671**
- **სევარიონი არაბიძე - პ/ნ 21001028400**
- **ნინო ღვედაშვილი – პ/ნ 01015008934**
- **ვაჟა ჩალაური – პ/ნ 01001057753**
- **დავით დავითაშვილი – პ/ნ 01019001966**
- **გიორგი დავითაშვილი – პ/ნ 01023005469**

მუხლი 2. ამხანაგობის მიზანი

2.1 ამხანაგობის მიზანია წინამდებარე ხელშეკრულებით, იურიდიული პირის შეუქმნელად, განსაზღვრული წესითა და ვადებში ამხანაგობის წევრებმა ერთობლივად იმოქმედონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ საცხოვრებელ სახლში არსებული ბინების, სხვა ფართების და ავტოფარეხების ამხანაგობის წევრთა საკუთრებაში გადასაცემად (მათი წილის შესაბამისად).

2.2 საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს მისამართზე: **ქალაქი თბილისი, ქუჩა ქვიშხეთი, №1ბ.**

მუხლი 3. ამხანაგობის წევრთა შენატანები

3.1 ამხანაგობის წევრმა **შორენა კიკვაძემ (პ/ნ 01001002359)** ამხანაგობაში შენატანის სახით შეიტანა უძრავი ნივთი, რომლის მახასიათებლებია:

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ნაძალადევი		
01	12	08	006/011

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ქვიშხეთი, №1ბ

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი
№01.12.08.006.011

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 241.00 კვ.მ
ნაკვეთის წინა ნომერი: 01.12.08.006.009;
01.12.08.006.008;
მესაკუთრე: შორენა კიკვაძე (პ/ნ 01001002359)
განცხადების რეგისტრაცია: 882015616081
მომზადების თარიღი: 28.10.2015წ.

3.2. ზემოაღნიშნული უძრავი ნივთი უფლებრივად უნაკლოა. მასზე ყადაღა/აკრძალვა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა რეგისტრირებული არ არის, მესაკუთრე მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან №882015616081 და საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის/საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის და მოვალეთა რეესტრის ელექტრონული მონაცემთა ბაზით.

3.3. **შორენა კიკვაძის** მიერ ამხანაგობაში შენატანის სახით შეტანილი უძრავი ნივთი - მიწის ნაკვეთი წინამდებარე ხელშეკრულების მხარეთა მიერ შეფასებულია **120 000 (ასოცი ათასი) ლარად.**

3.4. ამხანაგობის წევრის **შორენა კიკვაძის (პ/ნ 01001002359)** შენატანი ამხანაგობაში იქნება ინტელექტუალური მომსახურება ამხანაგობის მიზნის მისაღწევად.

3.5. ამხანაგობის წევრმა **გიორგი დავითაშვილმა (პ/ნ 01023005469)** ამხანაგობაში შენატანის სახით შეიტანა უძრავი ნივთი, რომლის მახასიათებლებია:

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ნაძალადევი		
01	12	08	006/016

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ვარდისუბანი, №6

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.12.08.006.016

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 196.00 კვ.მ
ნაკვეთის წინა ნომერი: 01.12.08.006.013
მესაკუთრე გიორგი დავითაშვილი, პ/ნ 01023005469
განცხადების რეგისტრაცია: 882015625200
მომზადების თარიღი: 02.03.2015

3.6. ზემოაღნიშნული უძრავი ნივთი უფლებრივად უნაკლოა. მასზე ყადაღა/აკრძალვა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა რეგისტრირებული არ არის, მესაკუთრე მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან №882015625200 და საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის/საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის და მოვალეთა რეესტრის ელექტრონული მონაცემთა ბაზით.

3.7. **გიორგი დავითაშვილის** მიერ ამხანაგობაში შენატანის სახით შეტანილი უძრავი ნივთი - მიწის ნაკვეთი წინამდებარე ხელშეკრულების მხარეთა მიერ შეფასებულია **20 000 (ოცი ათასი) ლარად**.

3.8. **ლია ზარნაძის** (პ/ნ **21001000671**) ვალდებულებაა ამხანაგობაში ამხანაგობის ანგარიშზე **18 373 (თვრამეტი ათას სამასსამოცდაცამეტი) აშშ დოლარის** შეტანა შემდეგი გრაფიკის მიხედვით: **6000 (ექვსი ათასი) აშშ დოლარს** შეიტანს ამხანაგობის დაფუძნებიდან სამი დღის ვადაში; **5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარს** შეიტანს 2016 წლის 20 იანვრამდე, **7373 (შვიდი ათას სამასსამოცდაცამეტი) აშშ დოლარს** შეიტანს შეიტანს საჯარო რეესტრში მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 7 დღისა.

3.9. **სევარიონი არაბიძის (პ/ნ 21001028400)** ვალდებულებაა ამხანაგობაში ამხანაგობის ანგარიშზე **18 373 (თვრამეტი ათას სამასსამოცდაცამეტი) აშშ დოლარის** შეტანა შემდეგი გრაფიკის მიხედვით: **6000 (ექვსი ათასი) აშშ დოლარს** შეიტანს ამხანაგობის დაფუძნებიდან სამი დღის ვადაში; **5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარს** შეიტანს 2016 წლის 20 იანვრამდე, **7373 (შვიდი ათას სამასსამოცდაცამეტი) აშშ დოლარს** შეიტანს საჯარო რეესტრში მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 7 დღისა.

3.10. **ნინო ღვედაშვილის (პ/ნ 21001028400)** ვალდებულებაა ამხანაგობაში ამხანაგობის ანგარიშზე **36 746 (ოცდათექვსმეტი ათას შვიდასორმოცდაექვსი) აშშ დოლარის** შეტანა შემდეგი გრაფიკის მიხედვით: **20000 (ოცი ათასი) აშშ დოლარს** შეიტანს ამხანაგობის დაფუძნებიდან სამი დღის ვადაში; **4200 (ოთხი ათას ორასი) აშშ დოლარს** შეიტანს 2016 წლის 01 ივლისამდე ყოველთვიურად **600 (ექვსასი) აშშ დოლარის** გადახდით, **12 546 (თორმეტი ათას ხუთასორმოცდაექვსი) აშშ დოლარს** შეიტანს საჯარო რეესტრში მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 30 დღისა.

3.11. **ვაჟა ჩალაურმა (პ/ნ 01001057753)** ამხანაგობაში შენატანის სახით შეიტანა საცხოვრებელი სახლის არქიტექტორული პროექტი (შეთანხმებული ქ. თბილისის მერიასთან), რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების მხარეთა მიერ შეფასებულია **20 000 (ოცი ათასი) ლარად**. ასევე მისი შენატანი ამხანაგობაში იქნება ინტელექტუალური მომსახურება ამხანაგობის მიზნის მისაღწევად.

3.12. **დავით დავითაშვილის (პ/ნ 01019001966)** ვალდებულებაა ამხანაგობაში ამხანაგობის ანგარიშზე **36 746 (ოცდათექვსმეტი ათას შვიდასორმოცდაექვსი) აშშ დოლარის** შეტანა შემდეგი გრაფიკის მიხედვით: **10000 (ათი ათასი) აშშ დოლარს** შეიტანს ამხანაგობის დაფუძნებიდან სამი დღის ვადაში; **4200 (ოთხი ათას ორასი) აშშ დოლარს** შეიტანს 2016 წლის 01 ივლისამდე ყოველთვიურად **600 (ექვსასი) აშშ დოლარის** გადახდით, **22 546 (ოცდაორი ათასი ხუთასორმოცდაექვსი) აშშ დოლარს** შეიტანს საჯარო რეესტრში მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 7 დღისა.

3.13. ამხანაგობის წევრები თანახმა არიან განხორციელდეს ამხანაგობის მიერ ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის პროექტში ისეთი ცვლილება, რომელსაც შედეგად მოყვება ამხანაგობის წევრთა მიერ მისაღები ფართების ოდენობის გაზრდა. ამ შემთხვევაში ამხანაგობის წევრების შენატანი გაიზრდება თითოეული დამატებული კვ.მ ფართისთვის 380 (სამასოთხმოცი) აშშ დოლარის ოდენობით, რაც მათ მიერ უნდა დაიფაროს საჯარო რეესტრში მათი საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 7 დღისა.

3.14. ყოველი შენატანი წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას, რაც უნდა მოხმარდეს ამხანაგობის მიზნებს.

მუხლი 4. ბინების/ფართების განაწილების წესი

4.1 ამხანაგობის წევრებს შორის, წინამდებარე ხელშეკრულებით მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შედეგად, **ქალაქ თბილისში, ქვიშხეთის ქ. №1ბ-**ში აშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში ფართები განაწილდება შემდეგნაირად:

- **შორენა კიკვაძე: - 3.00 ნიშნულზე - 100.1 კვ.მ სარდაფის ფართი; 0.00 ნიშნულზე – 82.0 კვ.მ საზაფხულო ფართი (ტერასა), საცხოვრებელი სახლის პროექტში ცვლილების შეტანის შემთხვევაში +16.00 ნიშნულზე და მის ზემოთ დამატებული ნებისმიერი ფართი - 160.00 კვ.მ-ის ოდენობით.**
- **დავით დავითაშვილი:** + 4.00 ნიშნულზე 87.3 კვ.მ საცხოვრებელი ფართი და 9.4 კვ.მ საზაფხულო ფართი.
- **ლია ზარნაძე:** + 7.00 ნიშნულზე 43.65 კვ.მ საცხოვრებელი ფართი და 4.7 კვ.მ საზაფხულო ფართი.
- **სევარიონი არაბიძე:** + 7.00 ნიშნულზე 43.65 კვ.მ საცხოვრებელი ფართი და 4.7 კვ.მ საზაფხულო ფართი.
- **ნინო ღვედაშვილი:** + 10.00 ნიშნულზე 87.3 კვ.მ საცხოვრებელი ფართი და 9.4 კვ.მ საზაფხულო ფართი.
- **ვაჟა ჩალაური:** + 13.00 ნიშნულზე 87.3 კვ.მ საცხოვრებელი ფართი და 9.4 კვ.მ საზაფხულო ფართი.
- **გიორგი დავითაშვილს უფლება ექნება მის მიერ ამხანაგობაში შეტანილ მიწის ფართზე (196.00 კვ.მ). თავისივე სახსრებით თვითონ მოაწყოს ორ სართულიანი არაუმეტეს 200.00 კვ.მ ფართის შენობა ან/და ავტოფარეხები, რომელიც იქნება მისი საკუთრება და ისარგებლოს ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული მიწით მის მიერ აშენებულ შენობამდე ან/და ავტოფარეხებამდე მისასვლელად. ამასთანავე, ამხანაგობის სხვა წევრებს არ ექნებათ უფლება აღნიშნულ მიწაზე ააშენონ რაიმე სახის შენობა.**

4.2 ამხანაგობის თავმჯდომარე იღებს ვალდებულებას, რომ 2016 წლის 01 იანვრამდე ასაშენებელი საცხოვრებელი სახლი კარკასულ მდგომარეობაში მოწყობილი იქნება + 4.00 ნიშნულის ჩათვლით.

4.3 ამხანაგობის წევრებს (გარდა გიორგი დავითაშვილისა) ზემოაღნიშნული ფართები 2016 წლის 01 სექტემბრამდე ჩაბარდებათ შემდეგ მდგომარეობაში: სახლის გარე ფასადი პროექტის შესაბამისად დასრულებული (შელესილი-შეღებვით), მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა (ორმაგი შემინვით) დამონტაჟებული გარე პერიმეტრზე, სადარბაზო და კიბის უჯრედი მოწესრიგებული (ფილა დაგებული, კედლები შელესილი, შეღებილი), საცხოვრებელ ფართებში შესასვლელი რკინის კარები დამონტაჟებული (საკეტით), საცხოვრებელი ფართები დატიხრული ამხანაგობის წევრების მიერ წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, მოჭიმული იატაკი, კომუნიკაციები (ელექტროენერგია, გაზი, წყალი, კანალიზაცია) ფართებამდე მიყვანილი, მრიცხველები დამონტაჟებული, ეზოს განათება დამონტაჟებული, ლიფტი დამონტაჟებული.

მუხლი 5. ამხანაგობის ხელმძღვანელობა და მართვა

5.1. ამხანაგობის უმაღლესი მმართველობის ორგანოა **ამხანაგობის წევრთა საერთო კრება.**

5.2. ამხანაგობის წევრები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას მესამე პირებთან წარმოადგენს **ამხანაგობის თავმჯდომარე.** ამხანაგობის თავმჯდომარედ ამხანაგობის წევრებმა აირჩიეს **შორენა კიკვაძე (პ/ნ 01001002359).**

5.3. ამხანაგობის თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) და სასამართლოში, სადაც იგი უფლებამოსილია წარადგინოს ამხანაგობის სახელით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად ყველა საჭირო დოკუმენტაცია, ასევე მას უფლება აქვს მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია აღნიშნული დაწესებულებებიდან.

5.4. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს მართოს და განკარგოს ამხანაგობის ფულადი თანხები საქართველოს ნებისმიერ ბანკში და მათ ნებისმიერ ფილიალში და სერვის ცენტრში ამხანაგობის მიზნის მისაღწევად.

5.5. ამხანაგობის წევრები აცხადებენ თანხმობას, რომ ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს ამხანაგობის სახელით შეუზღუდავად, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილებები და დადოს/გააფორმოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარიგება ამხანაგობის მიზნის მისაღწევად, გარდა ამ ხელშეკრულების 5.6 პუნქტში მითითებული გარიგებებისა.

5.6. ამხანაგობის ყველა წევრის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება არ აქვს ამხანაგობის სახელით დადოს გარიგებები ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების (წილების, უძრავი/მოძრავი ნივთების) გაყიდვის თაობაზე, ასევე უფლება არ აქვს ამხანაგობის სახელით დადოს

გარიგებები სესხების, კრედიტების ან/და სხვა ვალდებულებების ასაღებად, ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების უფლებრივად (იპოთეკა/გირავნობა) დატვირთვის ჩათვლით.

5.5 ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის სხვა წევრების და მესამე პირების/ორგანოების მიმართ ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.

5.7. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას და ამხანაგობის წევრების მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მათ ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტები სრულად. იგი პასუხს აგებს ამხანაგობისათვის მისი ქმედებით მიყენებული ზიანისათვის.

5.8. ამხანაგობის სახელით გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

5.9. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს სხვა მხარეებს. ამ შემთხვევაში ახალი თავმჯდომარე აირჩევა ამხანაგობის წევრთა საერთო კრების 2/3-ის გადაწყვეტილებით.

5.10. ამხანაგობის თავმჯდომარე შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან ამხანაგობის წევრთა საერთო კრების ხმების 2/3-ის გადაწყვეტილებით, თუ იგი უხეშად დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და ეს დადასტურებული იქნება კვალიფიციური სპეციალისტის (აუდიტი, ექსპერტი) მიერ.

მუხლი 6. ამხანაგობის წევრთა საერთო კრება

6.1 ამხანაგობის წევრთა საერთო კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ ამხანაგობის თავმჯდომარის ან ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 1/2-ის მოთხოვნით. კრების მომწვევი ვალდებულია კრების ჩატარების შესახებ ერთი კვირით ადრე მაინც შეატყობინოს ამხანაგობის წევრებს დაზღვეული წერილით, ტელეფონის საშუალებით (SMS) ან/და ელექტრონული ფოსტით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს კრების ჩატარების ადგილი, დრო და განსახილველი საკითხი.

6.2 კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ყველა წევრი. ამხანაგობის წევრთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ამხანაგობის წევრთა 2/3.

6.3 თუ კრებას არ ესწრება ყველა წევრი, მაშინ კრება მოიწვევა განმეორებით არაუგვიანეს 15 დღისა იმავე წესით და იგი იქნება გადაწყვეტილებაუნარიანი, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ამხანაგობის წევრთა ნახევარზე მეტი. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება განმეორებით კრებაში მონაწილე ყველა წევრის ხმების 100%-ით.

6.4 თითოეულ ამხანაგობის წევრს აქვს ერთი ხმის უფლება მიუხედავად მისი წილისა ამხანაგობაში.

მუხლი 7. ამხანაგობის წევრთა უფლებები და მოვალეობები

7.1. ამხანაგობის წევრები ვალდებულნი არიან შეასრულონ მშენებლობის პროექტით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

7.2. თითოეული ამხანაგობის წევრი ვალდებულია ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობა შეასრულოს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.

7.3. ამხანაგობის წევრები ვალდებულნი არიან არაუგვიანეს 2016 წლის 01 სექტემბრისა, შეადგინონ წევრთა შორის საცხოვრებელი და საზაფხულო ფართების, სხვა ფართების და ავტოფარეხების განაწილების შესახებ შეთანხმება (განშლა), რაც დაუყოვნებლივ წარედგინება საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით.

7.4. ამხანაგობის წევრთა შორის შემოსავლები და ზიანი ნაწილდება მათი წილის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ამ ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები თავისუფლდებიან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებებისაგან თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელთა გადაწყვეტა მათ ძალებს აღემატება.

8.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორულ გარემოებებს განეკუთვნებიან:

- სტიქიური უბედურებები: მიწისძვრა, წყალდიდობა, დამანგრეველი გრიგალი და სხვ.

- სახელმწიფო, ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ ისეთი საკონონმდებლო, კანონქვემდებარე ან ადმინისტრაციული აქტის მიღება, რომლებიც შეუძლებელს გახდის ვალდებულების შესრულებას.
- სახელმწიფოს მიერ საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე სათანადო პირობების არსებობისას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება.

მუხლი 9. ამხანაგობიდან გასვლის წესი

9.1. ამხანაგობის წევრს უფლება აქვს გავიდეს ამხანაგობიდან პატივსადები მიზეზების არსებობისას. ერთ-ერთი წევრის გასვლა ამხანაგობიდან არ გამოიწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია ისეთ დროს ან ისეთ გარემოებაში, რაც საზიანო იქნება ერთობლივი საქმიანობისათვის.

9.2. ამხანაგობიდან გასვლის მსურველმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ამხანაგობის თავმჯდომარეს. ამხანაგობიდან გასულ წევრს, მის მიერ გაწეული შენატანი დაუბრუნდება მისი წილის გაყიდვის შემდეგ.

9.3. ამხანაგობის წევრები უარს აცხადებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლით გათვალისწინებულ წილის უპირატესი შესყიდვის უფლებაზე, შესაბამისად ამხანაგობის წევრს უფლება აქვს სხვა წევრების თანხმობის გარეშე გაასხვისოს თავისი კუთვნილი წილი ან წილის ნაწილი.

9.4. ამხანაგობის წევრის მიერ მისი კუთვნილი წილის გასხვისების შეთხვევაში, წილის გამსხვისებელი ამხანაგობის წევრი ვალდებულია ამხანაგობის სახელით კანონით დადგენილ ვადაში გადაიხადოს ყველა ის აუცილებელი გადასახადი, რაც შეიძლება დაეკისროს ამხანაგობას ამხანაგობის წევრის მიერ თავისი წილის გასხვისების შედეგად.

9.5. წილის გამსხვისებელი ამხანაგობის წევრი ვალდებულია გააცნოს წინამდებარე ხელშეკრულება წილის შემძენს, ვინაიდან მასზე გადადის წილთან დაკავშირებული ყველა ის უფლება-მოვალეობა, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულებით.

მუხლი 10. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

10.1. ამხანაგობა შექმნილია საცხოვრებელი სახლის აშენების ვადით, მაგრამ არა უმეტეს 2016 წლის 01 სექტემბრისა და იგი არსებობას ავტომატურად წყვეტს ამ ვადის გასვლისას ან/და ამხანაგობის მიზნის მიღწევის შემდეგ.

10.2. ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის გარდაცვალება არ იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. მის ადგილს იკავებს მემკვიდრე.

10.3. ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება ამხანაგობის წევრთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით 5.10 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ამხანაგობის წევრის გარიცხვა

11.1. ამხანაგობის წევრები ვალდებულნი არიან შეასრულონ პროექტით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

11.2. ამხანაგობის წევრი შეიძლება გარიცხული იქნას ამხანაგობიდან ამხანაგობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, თუ იგი არ ემორჩილება და სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებას, არ შეაქვს შენატანი ამხანაგობაში დათქმულ ვადებში ან/და არ ასრულებს მის მიერ ამხანაგობის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგება ამხანაგობის დანარჩენ წევრებს და ერთობლივი საქმიანობის მიზანს. გარიცხულ წევრს უკან დაუბრუნდება მის მიერ განხორციელებული ფულადი შენატანის 1/2 ნაწილი მისი კუთვნილი წილის გასხვისების შემდეგ, ხოლო დარჩენილი ნაწილი რჩება ამხანაგობაში და მოხმარდება ერთობლივი საქმიანობის მიზნის განხორციელებას. გარიცხული წევრის წილი ხდება ამხანაგობის საერთო საკუთრება.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებანი

12.1 წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან და ექვემდებარება საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას

12.2 ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება ამხანაგობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე. ეს ცვლილებები/დამატებები უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს.

12.3 ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამხანაგობის წევრთა შორის ამხანაგობის საერთო ქონება ნაწილდება მათი წილების შესაბამისად. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება წევრების მიერ ამხანაგობის წინაშე ნაკისრი შესრულებული და შეუსრულებელი ვალდებულებები.

მხარეთა ხელმოწერები:

შორენა კიკვაძე ---

ლია ზარნაძის წარმომადგენელი სოსო არაბიძე ---

სევარიონი არაბიძის წარმომადგენელი სოსო არაბიძე ---

ნინო ღვედაშვილი ---

ვაჟა ჩალაური ---

დავით დავითაშვილი ---

გიორგი დავითაშვილი ---

ნოტარიუსი ოთარ გოლოძე



აკინძულია და დანომრილია
„_____" ფურცელი
ნოტარიუსი ________